



საქართველო  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
მერია

GEORGIA  
City Hall Administration  
of Lagodekhi



საქართველო, ლაგოდეხი, 2700,26 მასის ქუჩა N25 ტელ: (354) 22 30 20, ელ.ფოსტა : info@lagodekhi.gov.ge  
Lagodekhi, 26 may str.N25 Tel: (354) 22 30 20, E-mail: info@lagodekhi.gov.ge



KA000078168051620

№ 03/8555

09 / დეკემბერი / 2020 წ.

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის,, 49-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ 2020 წლის ანგარიშს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე. კერძოდ: 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია -78 განცხადება.  
-შემოსული განცხადებებიდან დაკავშირებული იქნა სულ - 69 განცხადება.  
-არ დაკმაყოფილდა ერთი განცხადება, ვინაიდან მოთხოვნილი იქნა პერსონალური მონაცემის შემცვლელი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდებოდა იდენტიფიცირებულ ფიზიკურ პირს.  
-განხილვის პროცესშია- 8 განცხადება.  
-გაცემულ საჯარო ინფორმაციაზე შესწორების შეტანის მოთხოვნა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში არ შემოსულა.  
-არ ფიქსირდება შემოსული განცხადებებიდან პასუხის გაუცემლად დატოვებული განცხადება.  
-საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ დაფიქსირებულა.  
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი და დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა 2020 წლის განმავლობაში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში არ დაფიქსირებულა.  
2018 წლის 20 ივნისიდან დღემდე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი თამარი დარბაიძე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად



ჭონდო მდივნიშვილი